

:
2010 07
08/01-08

:
2020 14
N06



უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი

წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო
პროგრამების განხორციელების შეფასების შიდა და გარე მექანიზმებს

EEU

აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შიდა და გარე მექანიზმებს.
2. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მიზანია, დადგინდეს რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამა დასახულ მიზნებთან და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოთხოვნებს.
2. პროგრამების განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმი გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პერიოდულ შეფასებასა და მონიტორინგს, რაც ემსახურება პროგრამების განვითარებასა და მათ მუდმივ გაუმჯობესებას.
3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმი მოიცავს:
 - საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის ანალიზს და რევიზიას მოცემულ დარგში უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით;
 - საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების ანალიზს;
 - სტუდენტების აკადემიური მოსწრების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლისა და პროგრამიდან განთესვის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს; სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას;

- საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებისა და საჭიროებების ანალიზი;
 - სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების შესაბამისობის შეფასებას მოცემული პროგრამის მიზნებთან.
4. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები და მეთოდები:
- ☞ სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ;
 - ☞ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ;
 - ☞ დამსაქმებლებისა და პარტნიორების ფოკუს ჯგუფი/ინტერვიუ/გამოკითხვა პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ.
5. პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მიზნებისთვის შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა ინსტრუმენტები და მეთოდები;
6. პროგრამის განხორციელების შიდა მექანიზმების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, რომლის ბაზაზე უზრუნველყოფილია ელექტრონული კითხვარების მიწოდება თითოეული სტუდენტისთვის, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების და სხვა შესაბამისი მონაცემების შეგროვება. აღნიშნული ინსტრუმენტითა და მეთოდით სტუდენტების გამოკითხვისას დაცულია ანონიმურობა.
7. შიდა შეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებული მონაცემები აისახება საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური შიდა თვითშეფასების ანგარიშში.(დანართი N1)
8. შიდა თვითშეფასების ანგარიშში მოიცავს საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის სტრატეგიას - შესაბამის ქმედებებსა და ვადებს.
9. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობას იღებს:

ჟ პროგრამის ხელმძღვანელი/პროგრამის განვითარების კომიტეტი;

ჟ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენე / პასუხისმგებელი კოორდინატორი;

10. შევსებული შიდა თვითშეფასების ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.
11. ფაკულტეტის/წარმომადგენლობით საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ შიდა თვითშეფასებაში წარმოდგენილი პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე.
12. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შიდა თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, ასევე ანგარიშისგან დამოუკიდებლად, ამ წესში განსაზღვრული შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით გამოვლენილი შედეგებისა და მიგნებების საფუძველზე, განსხვავებული პერიოდულობით.
13. პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცედურები განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესსა და პროცედურებში“.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.
2. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით.
3. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის სახით

წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადების და წარდგენის ფორმების დაცვით.

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გარე შეფასების მიზნით მოიწვიოს უცხოელი/ადგილობრივი ექსპერტები და მათ მიერ უზრუნველყოფს პროგრამების შეფასება და შეფასების შედეგების თანმიმდევრულ იმპლემენტაცია. გარე შეფასების პროცესში ასევე შესაძლოა ჩართულნი იყოს პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები, თუ მათთან არსებობს ამის შესახებ შესაბამისი შეთანხმება. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შესაბამისი თვითშეფასების ანგარიშის წარდგენამდე.

მუხლი 4. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

წინამდებარე წესს თან ახლავს დანართი N1: საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შიდა თვითშეფასების ანგარიშის ფორმა

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ანგარიში

წინამდებარე პროგრამების ყოველწლიური შიდა თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენს შიდა ხარისხის განვითარების ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამების შეფასების შედეგად ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას და მიღებული მონაცემების საფუძველზე მიზნობრივი ღონისძიებების დაგეგმვას პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

იგი არის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესის დანართი და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს



აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

წინასიტყვაობა

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შიდა თვითშეფასება არის უწყვეტი პროცესი. საანგარიშო პერიოდი მოიცავს ერთ სასწავლო წელს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის და მომდევნო სემესტრს - ანგარიშის წარდგენისა და შესაბამისი ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და დასაქმებასთან მიმართებაში. პროგრამას ასევე შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრული მისთვის პრიორიტეტულად მიჩნეული სამიზნე ნიშნულები რომელიმე სხვა პარამეტრთან მიმართებაში.

პროგრამის თვითშეფასების პერიოდულ ანგარიშში სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და მონაცემი. პროგრამის განვითარების დინამიკის და ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში უნდა მოხდეს შედეგების შედარება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან.



1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სათაური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები:	
სწავლების ენა:	
პროგრამის ხელმძღვანელი/ საკონტაქტო ინფორმაცია	
ფაკულტეტის დეკანი/საკონტაქტო ინფორმაცია	
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/საკონტაქტო ინფორმაცია	

2. საგანმანათლებლო პროგრამის წინა თვითშეფასების შედეგების გათვალისწინების შეფასება

ანგარიშის ამ ნაწილში შეაფასეთ და ასახეთ, თუ რამდენად არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის წინა თვითშეფასების შედეგები, მოკლედ შეაჯამეთ პროგრამის წინა თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი სუსტი მხარეები და მათ გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებები შესაბამისი ვადების მითითებით. წინა თვითშეფასების შედეგების არ გათვალისწინების შემთხვევაში, დააფიქსირეთ ამის მიზეზები.

3. პროგრამის მიმოხილვა

ანგარიშის ამ ნაწილში პროგრამის მიმოხილვისთვის მიუთითეთ: პროგრამის განხორციელების დაწყების წელი; პროგრამის მიზანი; პროგრამის სწავლის შედეგები; პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა ან/და განვითარებაში ჩართული ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები; პროგრამის სტრუქტურა

ცხრილი N1 პროგრამის სტრუქტურა

N	კურსები/კომპონენტები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ)	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტები	საკონტ. სათემა	სემესტრები	
							შემ	გაზ.

☞ პროგრამის სწავლის შედეგების და კურსების/კომპონენტების შესაბამისობის რუკა (ქვემოთ მოცემული რუკის სახით წარმოადგინეთ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის კურსებთან/კომპონენტებთან ისე, რომ პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი იყოს ბმაში კონკრეტულ კურსთან ან კომპონენტთან. თითოეული

სწავლის შედეგის/კომპეტენციის გასწვრივ მიუთითეთ, რომელ საანგარიშო პერიოდში არის დაგეგმილი მისი შეფასება)

ცხრილი N2. პროგრამის სწავლის შედეგების და კურსების/კომპონენტების შესაბამისობის რუკა

სწავლის შედეგი/კომპეტენცია	პროგრამის კურსი/კომპონენტი	საანგარიშო პერიოდი

პროგრამის სწავლის შედეგების და შესაბამისი კურსების/კომპონენტების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად ისე, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების ციკლის დასრულებამდე მოხდეს პროგრამით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის/კომპეტენციის შეფასება. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში პროგრამით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის/კომპეტენციის შეფასება შესაძლებელია, განხორციელდეს სამი საანგარიშო პერიოდის ფარგლებში. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემთხვევაში ხუთი საანგარიშო პერიოდის ფარგლებში. სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ერთი საანგარიშო პერიოდის ფარგლებში.

4. პროგრამის მაჩვენებლები

ანგარიშის ამ ნაწილში მიუთითეთ პროგრამაში აქტიური სტუდენტების საერთო რაოდენობა და მათი განაწილება სემესტრების მიხედვით.

ცხრილი N4.1. აქტიური სტუდენტების რაოდენობა საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის

სემესტრი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	> VIII	სულ
სტუდენტების რაოდენობა										

ცხრილი N4.2. აქტიური სტუდენტების რაოდენობა სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის

სემესტრი	I	II	III	IV	> IV	სულ
სტუდენტების რაოდენობა						

ცხრილი N 4.3. აქტიური სტუდენტების რაოდენობა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის

სემესტრი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	> XII	სულ
სტუდენტების რაოდენობა														



- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული მონაცემები უნდა იყოს შეგროვებული იმ კურსების/კომპონენტების მიხედვით, რომელთა შეფასება გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში. მიღებული მონაცემების საფუძველზე პროგრამამ უნდა განსაზღვროს ამ კურსების/კომპონენტების აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულები მომდევნო შეფასების ეტაპისთვის)
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები პროგრამით კმაყოფილების შესახებ (აღნიშნული გამოკითხვა ტარდება დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების მონაწილეობით. სტატისტიკური მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გრაფიკების ან ცხრილების სახით)
- პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლები (შიდა და გარე მობილობა, სტატუსის შეწყვეტა)

ცხრილი N 4.4. განთესვის მაჩვენებლები საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის

განთესვის ფაქტორი	I	II	III	IV	V	VI	VII	VII	> VIII	სულ
შიდა მობილობა										
გარე მობილობა										
სტატუსის შეწყვეტა										

ცხრილი N 4.5..განთესვის მაჩვენებლები დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის

განთესვის ფაქტორი	I	II	II	IV	V	V	V	VII	IX	X	X	XII	> XII	სულ
შიდა მობილობა														
გარე მობილობა														
სტატუსის შეწყვეტა														

ცხრილი N 4.6..განთესვის მაჩვენებლები სამაგისტრო პროგრამისთვის

განთესვის ფაქტორი	I	II	III	IV	>IV	სულ
შიდა მობილობა						
გარე მობილობა						
სტატუსის შეწყვეტა						

- სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლები;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები პროგრამის და მიმართულების მიხედვით;
- პროგრამის დასრულების მაჩვენებლები (დაგეგმილ პერიოდში, დაგეგმილზე ერთი წლის შემდეგ, დაგეგმილზე ორი წლის შემდეგ, დაგეგმილზე ორ წელზე გვიან)

ცხრილი N4.7. საბაკალავრო საფეხურის პროგრამის დასრულების მაჩვენებლები წლების მიხედვით

	4 წელი	5 წელი	6 წელი	> 6 წელი
კურსდამთავრებულების რაოდენობა				

ცხრილი N 4.8. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის დასრულების მაჩვენებლები წლების მიხედვით

	6 წელი	7 წელი	8 წელი	> 8 წელი
კურსდამთავრებულების რაოდენობა				

ცხრილი N 4.9. სამაგისტრო პროგრამის დასრულების მაჩვენებლები წლების მიხედვით

	2 წელი	3 წელი	4 წელი	> 4 წელი
კურსდამთავრებულების რაოდენობა				

- ❖ დამსაქმებლების/პროგრამის პარტნიორების უკუკავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით (დამსაქმებლების უკუკავშირი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყოველ 5 წელიწადში ერთხელ საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის; ყოველ 7 წელიწადში ერთხელ - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამისთვის და ყოველ 3 წელიწადში ერთხელ სამაგისტრო პროგრამისთვის).
- ❖ დარგში არსებული უახლესი ტენდენციების გათვალისწინება პროგრამის შინაარსში (მოკლედ აღწერეთ, დარგის რა უახლესი ტენდენციები და როგორ იქნა გათვალისწინებული პროგრამაში)

თანაფარდობები:

- სტუდენტები და აკადემიური პერსონალი;
- სტუდენტები და მოწვეული პერსონალი;
- სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- სტუდენტები და პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსები (მაგ. ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.)



5. პროგრამაზე მიღება

ანგარიშის ამ ნაწილში შეაფასეთ: პროგრამაზე მიღების წინაპირობები; მიღების მაჩვენებლები (პროგრამის საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიუთითეთ შესაბამისი მონაცემები ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან):

- პროგრამაზე გამოცხადებული ვაკანსიების და განაცხადების რაოდენობა;
- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;
- ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებლები მისაღებ გამოცდებზე (ერთიანი ეროვნული /სამაგისტრო გამოცდებით);
- ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებლები მისაღებ გამოცდებზე (ერთიანი ეროვნული /სამაგისტრო გამოცდების გარეშე);

6. სტუდენტების კონსულტირება და მხარდაჭერა

საორიენტაციო შეხვედრები (სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები; ფაკულტეტის/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ სტუდენტების კონსულტირება პროგრამის ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით (სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები); სასწავლო პროცესის მართვის ელ-პროგრამაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები (მონაცემები) ლექტორების მხრიდან სტუდენტების შეტყობინებებზე რეაგირების შესახებ; სტუდენტების გამოკითხვის მონაცემები.

7. პროგრამის შედეგები

სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლები;

ცხრილი N7.1. სტუდენტების დასაქმების მაჩვენებლები დასაქმების მიხედვით

	სტაჟირების ფარგლებში	სპეციალობით	არასპეციალობით
სტუდენტების რაოდენობა			

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები (მათ შორის სპეციალობის მიხედვით) პროგრამის დასრულების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში, პროგრამის დასრულების შემდეგ ორი წლის განმავლობაში, პროგრამის დასრულების შემდეგ ორზე მეტი წლის განმავლობაში. (მიღებული მონაცემების საფუძველზე პროგრამამ უნდა განსაზღვროს

სამიზნე ნიშნულები მომდევნო შეფასების ეტაპისთვის).

ცხრილი N7. 2. კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები დასაქმების მიხედვით

	სტაჟირების ფარგლებში	სპეციალობით	არასპეციალობით
კურსდამთავრებულების რაოდენობა			

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების შესახებ

8. თვითშეფასების შედეგები

ანაგრიშის ამ ნაწილში აღწერეთ პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი ძლიერი მხარეები; პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი სუსტი მხარეები; გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია-მიზნობრივი ღონისძიებები და ვადები.

